ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 1726

06/06/2018 1726-31-4-201806061639

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების'' (ს/კ 421268023)
წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის " 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტის, 106 [1] - ე მუხლის მე-6 ნაწილის, , ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 27-ე, 28-ე, 29-ე, 35-ე მუხლების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 01 ივნისის №36 96 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების'' (ს/კ 421268023) წესდების ახალი რედაქცია დანართი N1-ის შესაბამისად.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების'' (ს/კ 421268023) წესდების ახალი რედაქციის რეგისტრაციის განხორციელება უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა თამარ შვანგირაძემ (პ/ნ 53001015967) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში.

3.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი; ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია